გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულებების კვლევა საქართველოში

ინფორმაცია გამოკითხვის შესახებ

გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულებების კვლევა საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის ინიციატივით და შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა (CRRC) ჩაატარა. კვლევა მიზნად ისახავს იმის გაზომვას, თუ რამდენად გავრცელებულია საქართველოში დისკრიმინაციული დამოკიდებულებები და გენდერული სტერეოტიპები. კვლევა ეფუძნება გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და „ანსთერეოთაიფ ალიანსის“ გამოკითხვის მეთოდოლოგიას გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულების შესახებ, რომელიც რეგულარულად ტარდება ოც ქვეყანაში.

მოსახლეობა: საქართველოში მცხოვრები 16 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის გარდა (სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი).

შერჩევის დიზაინი: სტრატიფიცირებული მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა.

შერჩევის ზომა: 1 238 რესპონდენტი.

გამოპასუხების რაოდენობა: 21%.

გამოკითხვის მეთოდი: კომპიუტერის მეშვეობით პირისპირი გამოკითხვა (CAPI).

ინტერვიუს ენები: ქართული, სომხური, აზერბაიჯანული.

საველე სამუშაოების თარიღები: 20 იანვარი, 2024 – 19 თებერვალი, 2024.

შედეგები შეწონილია.

დამატებითი ინფორმაციის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: crrc-geo@crrccenters.org